ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №100

ქ.საგარეჯო 7 სექტემბერი 2012 წ.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელშ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ,მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული.

1.2 „ შემსყიდველი ორგანიზაცია“(შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას) რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის შალვა ჯაბადარის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 238154849, მისამართი: ქ. საგარეჯო დავით აღმაშენებლის ქ. №9, ა/ა GE71LB0120138521931001, ბანკის კოდი LBRTGE22 ს.ს ,,ლიბერთი ბანკი“–ის საგარეჯოს ფილიალი (შემდგომში ,,შემსყიდველი“) და

მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ,,ზუმერი ჯორჯია“, მისი დირექტორის ლევან გაფრინდაშვილის სახით მისამართი: ქ.თბილისი, წერეთლის გამზირი №1, საიდენტიფიკაციოკოდი: 202462717, ა/ა №GE78PC0133600100053630, ს/ს.პროკრედიტ ბანკი საქართველო, ბანკის კოდი: MIBGGE22 (შემდგომში წოდებული როგორც ,,მიმწოდებელი“).

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1 ხელშეკრულების საგანია: **მობილური ტელეფონების შესყიდვა: ერთი ცალი ,,Samsung19100 Galaxy S II" და ერთი ცალი ,, Samsung19250 Galaxy Nexus "** გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV კოდი 32250000), თანახმად საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე–10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 7 სექტემბრის №148 ბრძანების საფუძველზე.

თ. ქ ა ბ ა ნ ი ძ ე

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 მისაწოდებელი საქონლის ღირებულება შეადგენს: ერთი ცალი ,,Samsung19100 Galaxy S II' -ის 859 ლარს და ერთი ცალი ,, Samsung19250 Galaxy Nexus "-ის 760 ლარს, საერთო ღირებულება შეადგენს 1619 (ათასექვსასცხრამეტი) ლარს.

4.2 საქონელის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, წერეთლის გამზირი №1.

4.3. მიწოდების ვადა: 5 დღე.

5.მხარეთა უფლება - მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხზე და ვარგისიანობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში,აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. საქონლის მიღება – ჩაბარების წესი

6.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი ,,მიღება-ჩაბარების"აქტების გაფორმების შემდეგ.

7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შესაბამისი სამსახური.

8.მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწოება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და საგადასახადო დოკუმენტების წარმოდგენიდან ——10 კალენდარული დღის განმავლობაში:

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო

თ. ...

ბგარიშზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულის წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11 ფორსმაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მომწოდებლ;ისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლრებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდებრობასთან , რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიდნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შსახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობოთ პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და გამოინახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

12.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე

12.2მიმწოდერბლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითის საშუალებით.

12.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება,

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებსმიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებას.

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

13.6 ამ მუხლის მე–5 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. სხვა პირობები

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

16. მხარეთა ხელმოწერები:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის	შ.პ.ს. „ზუმერი ჯორჯია“
გამგებელის მოვალეობის შემსრულებელი:	დირექტორი:
შალვა ჯაბადარი	ლევან გაფრინდაშვილი